ლიდერი თავის სიმაღლეზეა

იაროსლავლი. “შინიკის” სტადიონი. 20 აპრილი.

“შინიკი” (იაროსლავლი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:1).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

“შინიკი”: ივაკინი, მიტინი, მასლიონკინი, ლუკანიშევი, არტემიევი, მანკო, ლოზოვსკი, ისაევი, ფედოსოვი, ლინიოვი, ატამანიჩევი.

მსაჯი: ა. მუგურდუმოვი (კიევი).

“შინიკის” პირველ მატჩს უძლიერესთა ლიგაში, საკუთარ სტადიონზე და ისიც გათამაშების ლიდერთან - თბილისის “დინამოსთან” მაყურებლები მოუთმენლად მოელოდნენ. თუმცა საკმარისად ციოდა, “შინიკის” გულშემატკივრებმა მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე აავსეს სტადიონის ტრიბუნები.

მე ვფიქრობ, თამაშის დასაწყისში არც ერთი მოწინააღმდეგე არ აპირებდა გაბედული შეტევების წამოწყებას. როგორც ეს შეეფერება პირველ ნაცნობობას, ორივე გუნდი შუა მინდორზე აწარმოებდა ბრძოლას, კომბინაციებს ძირითადად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მე-5 წუთზე “შინიკმა” მოულოდნელი, სწრაფი შეტევა განახორციელა, რომლის შედეგად მარჯვენა მცველი მიტინი ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კარის წინ. მისი ძლიერი დარტყმა მოიგერია ლეჟავამ.

პირველი ნამდვილი, “გენერალური იერიში” სტუმრებმა განახორციელეს მე-8 წუთზე და მან წარმატებაც მოუტანა მათ. “დინამოს” ორმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია და ბარქაიამ მეტად ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

დრო საკმარისზე მეტი ჰქონდათ მასპინძლებს საპასუხო გოლის გასატანად, მაგრამ ლიდერის დაცვა თამაშობდა საუკეთესო ურთიერთდაზღვევით. მართალია, მე-10 წუთზე “დინამოს” კართან შეიქმნა უაღრესად სახიფათო მომენტი, რომელიც შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო, მაგრამ ამ მძიმე ვითარებაში გუნდის არც ერთი მცველი არ დაბნეულა. კიდევ მეტიც, სტუმრები თამაშობდნენ ისე, რომ საშუალება მიეცათ თავიანთი განაპირა მცველების - ბ. სიჭინავასა და ცხოვრებოვისათვის მიეღოთ მონაწილეობა საერთო იერიშში.

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს დინამოელებმა შუა მინდორში. “შინიკის” თავდამსხმელები ვერ ახერხებდნენ ხანგრძლივ იერიშზე გადასვლას და როგორც კი მათ დასახმარებლად ზურგიდან გადმოდიოდნენ ნახევარმცველები, “დინამო” იწყებდა შეტევას ფლანგებიდან, ბარქაია გადიოდა კარის სიახლოვეს და გუნდი კვლავ იძულებული იყო უკან დაეწია ცენტრში გასული მოთამაშეები.

ლიდერს სავსებით უწყობდა ხელს გამარჯვება მინიმალური ანგარიშით. იგი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და შეინარჩუნა კიდეც იგი - 1:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც ლიდერმა მოიგო. დინამოელებმა გაიმარჯვეს იმავე ანგარიშით - 1:0.

ახლა თბილისის ორივე გუნდი, როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო, სათავეში უდგას გათამაშებას.

ა. კოკორევი, სპორტის ოსტატი.

“ლელო”, 21 აპრილი, 1964 წ.